ხელშეკრულება №55

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქალაქი ახმეტა 22.11.2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ ქალაქ ახმეტის N1 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანული კრიხელის სახით და მეორეს მხრივ, ინდმეწარმე„ ლელა სეთური“ (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის ლელა სეთურის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 15 იანვრის N24 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის ,,ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამის(პროგრამული კოდი 32 02 12),,სასკოლო ინიციატივების წახალისების“ ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სსიპ ქალაქ ახმეტის N1 საჯარო სკოლის პროექტით, „მშობლები და შვილები“ განსაზღვრული სპორტული ინვენტარის შესყიდვა (cpvკოდი3740000, სპორტული საქონელი და აღჭურვილობა (37420000,37423000,37424000,37441700)) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1.ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 630,2 (ექვსასოცდაათი ლარი და 20თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულებამოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1.საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2016 წლის 04 აგვისტოს ჩათვლით.

მუხლი5. მხარეთაუფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველიუფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა დახარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგანხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებულიდოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისადა პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული, საქონელი.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

მუხლი6. პირგასამტეხლო

6.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთოღირებულების 0.1%-ისოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2.იმ შემთხვევაში, თუდაკისრებული პირგასამტეხლოსსაერთოოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოსმიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3.ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუაღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2.თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგივალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორემხარეს მათი დადგომისან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3.მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდაგაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთაინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ)თუ შემსყიდველისათვის ცნობილიგახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერუზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრივალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმისწარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებიყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარეყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეებ იუფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოსმოქმედიკანონმდებლობისშესაბამისად.

9.2.ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისიდებულებებიგანიმარტებასაქართველოსკანონმდებლობისმიხედვით.

მუხლი10. შეტყობინება

10.1.ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი11. გადასახადებიდადაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულებისენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, - ერთი შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულებისმოქმედებისვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 20 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 14. სხვაპირობები

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვსუფლება გადასცეს მესამე პირ სთავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2მესამეპირთანურთიერთობაშიმხარეებიმოქმედებენთავიანთისახელით, თანხებითდარისკით.

14.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მიმწოდებელი	შემსყიდველი
ი/მ ,,ლელა სეთური"	სსიპ ქალაქ ახმეტის N1 საჯარო სკოლა
მისამართი: ქ. ახმეტა ტელეფონი: 593 655 655 საიდენტიფიკაციო კოდი: 08001008525 საბანკო რეკვიზიტები:სს ლიბერთი ბანკი საბანკო კოდიLBRTGE22 ანგარიშსწორების ანგარიში: GE87LB0112132061350000	მისამართი:,ქ. ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქ56 ტელეფონი: 591012277 საიდენტიფიკაციო კოდი: 224628062 საბანკო რეკვიზიტები: ,,ლიბერთი ბანკი" საბანკო კოდი:LLBRTGE22 ანგარიშსწორების ანგარიში:№GE23LB 0121116354920000
ხელმძღვანელი ---------- ლელა სეთური	დირექტორი ---------- ნანული ჯიხელი

დანართ-1

ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია შემდეგი სპორტული ინვენტარი:

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1	ბურთი კალათბურთის	ცალი	4	45	180
2	ბურთი პატარა	ცალი	4	10	40
3	კეგლი	ცალი	2	15	30
4	სახტუნაო	ცალი	8	3	24
5	თოკი(ბაგირი)	ცალი	2	10	20,00
6	ურნა	ცალი	2	6,00	12,00
7	სასტვენი	ცალი	2	3	6
8	რგოლი	ცალი	10	8,00	8,00
9	მაისური(დიდი)	ცალი	23	5,00	115
10	მაისური(პატარა)	ცალი	23	4,00	92
11	ალამი	ცალი	2	3,00	6,00
12	ფორმატის ქაღალდი	ცალი	4	0,80	3,20
13	თაბახის ქაღალდი	ცალი	1	8,00	8,00

14	სიგელი	ცალი	40	0,20	8
12	მარკერი	ცალი	10	0,60	6,00
სულ ღირებულება					630,20

სსიპ - ქალაქ ახმეტის №1საჯარო
სკოლის დირექტორი

ნანული კრიხელი

ი/მ ლელა სეთური

ლელა სეთური